საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდი ბეკამი

დიდი ბეკამი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ტერიტორიულ ორგანოში (შიდა ქართლის მხარე), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 820 მ, ხაშურიდან 6 კმ. 308 მცხ. (2002).

სოფ. ბეკამი იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სურამის წყლის სოფელთა სიაში. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით დგას წმ. გიორგის („კვართის") დარბაზული ეკლესია (განვითარებული ფეოდ. ხანა). სოფლის სამხრ.-აღმ-ით, სასაფლაოზე, დგას სავანეთის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (XVIII ს.).

ჯ. გვასალია